ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №47
2014 წლის 7 ნოემბერი

ქ. ზუგდიდი

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 16 ოქტომბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 16 ოქტომბრის №41 დადგენილებაში (სსკ 01025002.35.105.016187) შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. დადგენილების მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,მუხლი 12 . სპეციალური მოთხოვნები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწისათვის

ა) განათლება უმაღლესი /ბაკალავრი/მაგისტრი/;

ბ) მუშაობის 1-წლიანი გამოცდილება, უპირატესობა მიენიჭება საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილებას;

გ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულება;

დ) ძირითადი საოფისე კომპიუტერული პროგრამის Microsoft Office Word, Microsoft Office Excel სამომხმარებლო დონეზე ცოდნა“.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3

დადგენილების მოქმედება გავრცელდეს 2014 წლის 1 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ლაშა გოგია**